ცვლილება საბანკო მომსახურების ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში
Amendment in the Standard Terms of Banking Services

ძალაშია თარიღი/Valid since Date 17/01/2019

• საბანკო მომსახურების ხელშეკრულების სტანდარტული პირობების 1 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის ქვეპუნქტი 1.10: „1.10. ნომინალური მფლობელობის ანგარიში 1.10.1. მომსახურების აღწერა 1.10.1.1. მომსახურებაში იგულისხმება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესითა და კლიენტის (შემდგომში „ანგარიშის მფლობელი“) განაცხადის საფუძველზე ბანკის მიერ კლიენტისთვის ნომინალური მფლობელობის ერთობლივი ანგარიშის ან ნომინალური მფლობელობის სეგრეგირებული ანგარიშის გახსნა (შემდგომში “ნომინალური მფლობელობის ანგარიში“). ნომინალური მფლობელობის ანგარიში გაიხსნება მხოლოდ მიმდინარე ანგარიშის სახით. 1.10.1.2. ნომინალური მფლობელობის ანგარიშზე შეიძლება განთავსდეს და/ან ამ ანგარიშიდან გადაირიცხოს მხოლოდ ანგარიშის მფლობელი პირის კლიენტის სახსრები, რომელსაც ეს პირი ფლობს და განკარგავს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, თავისი საკუთარი სახსრებისაგან განცალკევებით. 1.10.1.3. ბანკის მოთხოვნის შემთხვევებში, ნომინალური ანგარიშის მფლობელი პირი ვალდებულია ბანკს წარუდგინოს ინფორმაცია მისი კლიენტის (კლიენტების) და/ან მათი ბენეფიციარი მფლობელების შესახებ. 1.10.1.4. ნომინალური მფლობელობის ანგარიშზე წარმოებული ოპერაციების შინაარსსა და დანიშნულებაზე პასუხს აგებს ანგარიშის ნომინალური მფლობელი. 1.10.1.5. აკრძალულია ნომინალური მფლობელობის ანგარიშზე არსებული თანხების განკარგვა უშუალოდ ანგარიშის ნომინალური მფლობელის კლიენტის მიერ წარმოდგენილი დავალების საფუძველზე. 1.10.1.6. ნომინალური მფლობელობის ანგარიში შეიძლება გადაფორმდეს სხვა პირზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზე. 1.10.1.7. ნომინალური მფლობელობის ანგარიშზე ვრცელდება მიმდინარე ანგარიშისთვის ბანკში დაწესებული სტანდარტული ტარიფები.“	• Add to the Article 1 of the the Standard Terms of Banking Services the following Sub clause 1.10: „1.10. Nominee Account 1.10.1. Service Description 1.10.1.1. Service covers opening of the joint nominee account or the segregated nominee account (hereinafter referred to as the “Nominee Account”) by the Bank for the Client on the basis of the Application of the Client (hereinafter referred to as the “Account Holder”) and in order established under the legislation of Georgia. The Nominee Account shall be open in capacity of the current account solely. 1.10.1.2. The funds of the Client of the Account Holder solely can be transferred to and/or charged from the Nominee Account, possessed and disposed by the hereof person in line with the legislation of Georgia separately from own assets. 1.10.1.3. If demanded by the Bank, the Holder of the Nominee Account shall submit to the Bank the information about the own Client(s) and/or Beneficiaries thereof. 1.10.1.4. The Holder of the Nominee Account shall carry responsibility for the context and purpose of the transactions to/from the Nominee Account. 1.10.1.5. Disposal of the funds available at the Nominee Account shall be inadmissible on the basis of the assignment submitted directly by the Client of the Holder of the Nominee Account. 1.10.1.6. The Nominee Account shall be registered to another person on the basis of the ordinance of the authorized agency stipulated under the legislation of Georgia. 1.10.1.7. The standard tariffs established by the Bank for the current account shall apply to the Nominee Account.“